ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3971456

ნომერი: AR1592815

თარიღი : 04.05.2018

გაცემის თარიღი : 21.05.2018

გაცნობის თარიღი : 21.05.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვაშლიჯვარი , II ზონა ; ქალაქი თბილისი , დასახლება ვაშლიჯვარი , ზონა II ; ქალაქი თბილისი , დასახლება ვაშლიჯვარი , ქუჩა მუხრან მაჭავარიანი , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარ კაციტაძე პ/ნ 01024029229
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 30ა ბ. 63

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 4 მაისის AR1592815 განცხადება, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.18.006.180) სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას,

პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე (01.10.18.006.127 ფართობი: 1099 კვ.მ) მომატებულია კ-2 კოეფიციენტი, ვინაიდან გაზრდილია მიწის ნაკვეთის ფართობი და შეცვლილია საკადატრო კოდი, საჭიროა მერის ბრძანებაში აღნიშნული ცვლილების განხორციელება, ამიტომ მოთხოვნა უნდა დაყენებულ იქნეს განაშენიანების ინტენსივობის პარამეტრის დაკლებაზე შეთანხმებული პროექტის შესაბამისად (კ2) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის გათვალისწინებით. ამისთვის უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს და განცხადება ატვირთოთ საიტზე: https://urban.tbilisi.gov.ge შესაბამის ნომენკლატურაში

სხვა შემთხვევაში, ისევ უნდა გამიჯოთ ნაკვეთი, დაუბრუნოთ პირვანდელ მდომარეობას და სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს ორი საკადასტრო ერთეული. (საკადასტრო კოდები: N01.10.18.006.159; N01.10.18.006.127).

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 60 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2018 წლის 4 მაისის AR1592815 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.